ᲡᲡᲘᲞ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ
ᲛᲔᲓᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ
ᲙᲝᲚᲔᲯᲘ

# ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲒᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 2022



ზურაბ ოშხნელი,
თსუ მედიისა და ტელეხელოვნების
კოლეჯის დირექტორი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივესიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის პრესტიჟს განსაზღვრავს ათწლეულების განმავლობაში დაგროვებული გამოცდილება და მაღალკვალიფიციური პერსონალი.

დიდია ასევე სახელმწიფოს როლი კოლეჯის მუდმივ განვითარებასა და ინფრასტრუქტურულ გაუმჯობესებაში.

ჩვენ გთავაზობთ დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით შედგენილ პროფესიულ პროგრამებს და პოზიტიურ სასწავლო გარემოს.

კოლეჯის კურსდამთავრებულები ყოველთვის გამოირჩეოდნენ პრაქტიკული ცოდნით და  კარიერაში მიღწეული წარმატებებით.

მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი მოტივირებული ახალგაზრდების არჩევანია!

გისურვებთ, წარმატებით გეტარებინოთ მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის სტუდენტის სტატუსი!

# კოლეჯი მისია



სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის მისიაა ხელი შეუწყოს:

- პროფესიული განათლების პრესტიჟის ზრდას, მედიასაშუალებებისთვის კვალიფიციური კადრების მომზადებას და დასაქმებას;
- პრაქტიკოსი პროფესიონალების მოზიდვას სასწავლო პროგრამების წამყვან პედაგოგებად, ტექნიკურად სრულყოფილი სასწავლო გარემოს შექმნას, პროფესიული სტუდენტების შემოქმედებითი ინიციატივის მხარდაჭერას;
- პროფესიულ სტუდენტებში პლურალიზმის, სიტყვის თავისუფლების და ღია საზოგადოების განვითარების ხელშეწყობას;
- პროფესიული სტუდენტების და მასწავლებლების მონაწილეობას საერთაშორისო მედია პროექტებში.

# საკონტაქტო ინფორმაცია

ვებ გვერდი: https://cmtv.edu.ge

tsumediacollege

ელ.ფოსტა: info@cmtv.edu.ge

ტელეფონები: 32 291 02 59; 32 291 02 60

# პროფესიულ პროგრამებზე მიღება



**1) ხელოვნების მიმართულებით - ფოტოგრაფიის** პროფესიულ პროგრამაზე სწავლის უფლების მოსაპოვებლად შერჩევა ხორციელდება ორ ეტაპად: საბაზო ზოგადი უნარების ტესტის და შემოქმედებითი ტურის საფუძველზე. საბაზო ზოგადი უნარების ტესტირებას უზრუნველყოფს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი სპეციალური კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით.

საბაზო ზოგადი უნარების ტესტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია -7.5 ქულა, ხოლო შემდეგ ეტაპზე (შემოქმედებით ტურზე) გამსვლელი ქულა განისაზღვრება ტესტირების შედეგების საფუძველზე. აპლიკანტებს, რომლებსაც რეგისტრაციისას მითითებული აქვთ ქართული ენისგან განსხვავებული ენა, არ მონაწილეობენ ტესტირებაში და ჩაერთვებიან შემოქმედებით ტურში.

შემოქმედებითი ტური მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

**1. შეთავაზებული ფოტოს ანალიზი - 16 ქულა**

ა.ა) სწორად გადმოსცემს ავტორის ჩანაფიქრს - 2 ქულა
ა.ბ) ნაწილობრივ ამოიცნობს ავტორის ჩანაფიქრს - 1 ქულა
ა.გ) ვერ აყალიბებს ავტორის ჩანაფიქრს - 0 ქულა
ბ.ა) სწორად გადმოსცემს საშუალებებს, რითაც შეძლო ავტორმა ჩანაფიქრის განხორციელება - 2 ქულა
ბ.ბ) ნაწილობრივ გადმოსცემს საშუალებებს, რითაც შეძლო ავტორმა ჩანაფიქრის განხორციელება - 1 ქულა
ბ.გ) ვერ გადმოსცემს საშუალებებს, რითაც შეძლო ავტორმა ჩანაფიქრის განხორციელება - 0 ქულა
გ.ა) აქვს ფოტოს გადაღების განსხვავებული და ლოგიკური ვერსია - 2
გ.ბ) აქვს ფოტოს გადაღების განსხვავებული, არალოგიკური ვერსია- 1 ქულა
გ.გ) არ აქვს საკუთარი ვერსია -0 ქულა
დ.ა) სწორად გადმოსცემს ავტორის იდეას - 3 ქულა
დ.ბ) არასრულყოფილად გადმოსცემს ავტორის იდეას - 2 ქულა
დ.გ) ნაწილობრივ გადმოსცემს ავტორის იდეას - 1 ქულა
დ.დ) ვერ გადმოსცემს ავტორის იდეას - 0 ქულა
ე.ა) გადმოსცემს ფოტოზე მოცემული გმირის/გმირების და მოვლენების მიზეზ-შედეგობრივ კავშირს-3 ქულა
ე.ბ) არასრულყოფილად გადმოსცემს ფოტოზე მოცემული გმირის/გმირების და მოვლენების მიზეზ-შედეგობრივ კავშირს-2 ქულა

ე.გ) ნაწილობრივ გადმოსცემს ფოტოზე მოცემული გმირის/გმირების და მოვლენების მიზეზ-შედეგობრივ კავშირს-1 ქულა
ე.დ) ვერ გადმოსცემს ფოტოზე მოცემული გმირის/გმირების და მოვლენების მიზეზ-შედეგობრივ კავშირს-0 ქულა
ვ.ა) ამოიცნობს გეომეტრიული ფიგურის მსგავსებას კომპოზიციაში - 2 ქულა
ვ.ბ) ნაწილობრივ ამოიცნობს გეომეტრიული ფიგურის მსგავსებას კომპოზიციაში -1 ქულა
ვ.გ) ვერ ამოიცნობს გეომეტრიული ფიგურის მსგავსებას კომპოზიციაში - 0 ქულა
ზ.ა) ამოიცნობს ფოტოში დომინანტ ფერს - 1 ქულა
ზ.ბ) ამოიცნობს ფერის დატვირთვას ფოტოში -1 ქულა
ზ.გ) ვერ ამოიცნობს დომინანტ ფერს და ფერის დატვირთვას - 0 ქულა

**2. როგორი შინაარსის ფოტოს/ფოტოებს გადაიღებდით შეთავაზებულ თემაზე - 10 ქულა**

ა.ა) შესრულებული დავალება სრულად პასუხობს თემას - 3 ქულა
ა.ბ) შესრულებული დავალება მეტწილად პასუხობს თემას - 2 ქულა
ა.გ) შესრულებული დავალება ნაწილობრივ პასუხობს თემას - 1 ქულა
ა.დ) შესრულებული დავალება არ პასუხობს თემას - 0 ქულა
ბ.ა) წარმოდგენილი იდეა ორიგინალურია -3 ქულა
ბ.ბ) წარმოდგენილი იდეა ორიგინალური არ არის, მაგრამ საინტერესოა - 2 ქულა
ბ.გ) წარმოდგენილი იდეა არაფრითაა გამორჩეული - 1 ქულა
ბ.დ) არ აქვს იდეა - 0 ქულა
გ.ა) ნათლად აყალიბებს იდეას- 2 ქულა
გ.ბ) იდეა სუსტია - 1 ქულა
გ.გ) იდეა არ აქვს - 0 ქულა
დ.ა) დავალება სრულად პასუხობს იდეას - 2 ქულა
დ.ბ) დავალება ნაწილობრივ პასუხობს იდეას - 1 ქულა
დ.გ) დავალება ვერ პასუხობს იდეას - 0 ქულა

**3. კომპიუტერის სამომხმარებლო დონეზე ფლობის უნარების დადასტურება - 7 ქულა**

(აპლიკანტს მიეცემა 7 დავალება, რომელთაგან თითოეული შეფასდება 1 ქულით).

საგამოცდო თემატიკა:

- კომპიუტერის ჩართვა -გამორთვა;
- ოპერაციული სისტემა windows და მისი ინტერფეისი;
- კომპიუტერის სხვადასხვა ფუნქციურ ფანჯარასთან წვდომა;
- ფაილებზე და საქაღალდეებზე ძირითადი ოპერაციები;
- დაარქივება;
- გავრცელებული ფოტორედაქტორების (photo editor) პროგრამების მენიუს ძირითადი ელემენტები;

4.მოტივაციის შემოწმება - 17 ქულა

- პროგრამაზე სწავლის მოტივაცია

| 2 ქულა | 0 ქულა |
|---|---|
| აპლიკანს გაცნობიერებული და ინფორმირებული გადაწყვეტილება აქვს მიღებული  პროგრამაზე ჩაბარებასთან დაკავშირებით: ის ფლობს საფუძვლიან ინფორმაციას პროგრამების მიზნებისა და შედეგების შესახებ, ფლობს ინფორმაციას პროგრამის ხანგრძლივობისა და სასწავლო გრაფიკის შესახებ. | აპლიკანტი არ ფლობს ინფორმაციას  პროგრამის შესახებ და მისი გადაწყვეტილება პროგრამაზე ჩაბარებასთან დაკავშირებით გაუცნობიერები და არაინფორმირებულია. |

- პროფესიული ცნობისმოყვარეობა

| 3 ქულა | 0 ქულა |
|---|---|
| გამოირჩევა სამიზნე პროფესიასთან შესაბამისი საგნებისადმი / საკითხებისადმი ინტერესით, იჩენს ინიციატივას; იცის როგორ უნდა მოიძიოს ინფორმაცია მისთვის საინტერესო პროფესიული საკითხების შესახებ; საჭიროების შემთხვევაში, ამ ინფორმაციის სანდოობისა და რელევანტურობის შეფასება შეუძლია. | პროფესიასთან დაკავშირებული საგნების მიმართ განსაკუთრებული ინტერესით არ გამოირჩეოდა. პროფესიულ ცნობისმოყვარეობას არ ავლენს. |

- ინფორმაცია პროფესიის შესახებ

| 3 ქულა | 0 ქულა |
|---|---|
| აპლიკანტი ფლობს ამომწურავ ინფორმაციას პროფესიის შემდეგი ასპექტების შესახებ: სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ტიპი, სამუშაო გარემო, ფუნქცია-მოვალეობები, დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაოს დადებითი მხარეები და სირთულეები, ანაზღაურება | აპლიკანტი არ ფლობს ინფორმაციას პროფესიის შემდეგი ასპექტების შესახებ: სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ტიპი, სამუშაო გარემო, ფუნქცია-მოვალეობები, დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაოს დადებითი მხარეები და სირთულეები, ანაზღაურება |

- მსგავსი სამუშაოების შესრულებით დაინტერესება

| 3 ქულა | 0 ქულა |
|---|---|
| აპლიკანტი ავლენს ინტერესს პროფესიისადმი, შესაბამისად, მას აქვს პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოების შესრულების გამოცდილება (ფორმალურად ან არაფორმალურად). მან იცის, რომელი ძირითადი სამუშაო იარაღები/ტექნიკა/აღჭურვილობა გამოიყენება პროფესიაში და აქვს მათი გამოყენების მინიმალური გამოცდილება მაინც. | კანდიდატი არ ავლენს ინტერესს პროფესიისადმი, შესაბამისად, მას არ შეუსრულებია პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოები, არ ფლობს ინფორმაციას ამ სამუშაოებისა და ძირითადი იარაღების/ტექნიკის/აღჭურვილობის შესახებ. |

- პროფესიის დაუფლებასთან დაკავშირებული მიზნები

| 3 ქულა | 0 ქულა |
|---|---|
| აპლიკანტი დაინტერესებულია პროფესიის შესწავლით. გაცნობიერებული აქვს თუ რატომ სურს ამ პროფესიის დაუფლება, როგორ და რაში გამოიყენებს არა მარტო პროფესიას, არამედ მასთან დაკავშირებულ ცოდნასა თუ უნარჩვევებს; ჩამოყალიბებული აქვს კონკრეტული მოლოდინი პროფესიის მიმართ და მკაფიოდ აქვს გაცნობიერებული საკუთარი ადგილი და როლი პროფესიაში. | აპლიკანტი არ ავლენს ინტერესს პროფესიისადმი; არ აქვს მკაფიო მოლოდინი პროფესიის მიმართ; არ აქვს გაცნობიერებული პროფესიასთან დაკავშირებული დადებითი მხარეები ან სირთულეები; არ აქვს პროფესიასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები და ვერ აანალიზებს საკუთარ ადგილსა და როლს ამ პროფესიაში |

- კომუნიკაციური უნარ-ჩვევები

| 3 ქულა | 0 ქულა |
|---|---|
| საუბრობს გასაგებად და ამომწურავად აყალიბებს თავის სათქმელს; კომისიის წევრებთან ინფორმაციის გაცვლის დროს არის ლოგიკური, თანმიმდევრული და კონტექსტს მორგებული. კანდიდატი ყურადღებით უსმენს კომისიის წევრებს, ადეკვატურად რეაგირებს კითხვებზე, უთმობს დროს მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის გაანალიზებას; უსვამს მათ დამაზუსტებელ კითხვებს საკითხში უკეთ გასარკვევად და არ აწყვეტინებს საუბარს შეუფერებელ დროს; იქცევა თავაზიანად. | კანდიდატს უჭირს სათქმელის ჩამოყალიბება; კომისიის წევრებთან ინფორმაციის გაცვლის დროს არის ალოგიკური და დაბნეული, აცდენილია კონტექსტს. კანდიდატი არ უსმენს კომისიის წევრების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. არის ჩუმად, უსვამს მათ არაადეკვატურ კითხვებს ან აწყვეტინებს საუბარს შეუფერებელ დროს; მისალმება-დამშვიდობების დროს არ იჩენს თავაზიანობას. |

**2) ხელოვნების მიმართულებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ტელერეჟისურა“, „ვიდეომონტაჟი“, „ვიდეო- საოპერატორო ხელოვნება“ და „სატელევიზიო კომპიუტერული გრაფიკა“** სწავლის უფლების მოსაპოვებლად აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების (ტესტი წიგნიერებაში) საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით.

**3) მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის დარგის/სპეციალობის პროფესიულ პროგრამებზე**

სწავლის უფლების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილე აპლიკანტებმა სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებასთან ერთად უნდა გაიარონ კონკურსი, რომელიც ჩატარდება გასაუბრების ფორმით და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) გამართული მეტყველება - 2 ქულა;

ა.ა) მეტყველებს გამართულად - 2 ქულა;

ა.ბ) მეტყველების დროს შეინიშნება გამოსწორებადი ხარვეზები -1 ქულა;

ა.გ) მეტყველებს გამოუსწორებადი ხარვეზებით - 0 ქულა.

ბ) ლექსიკური მარაგი - 1 ქულა;

ბ.ა) საუბრობს მრავალფეროვანი ლექსიკით - 1 ქულა;

ბ.ბ) საუბრობს მწირი ლექსიკით - 0 ქულა.
გ) მოტივაცია - 3 ქულა:
გ.ა) პროგრამაზე სწავლის მოტივაცია და მსჯელობა დასაბუთებული და არგუმენტირებულია; მოსაზრებები ნათლად არის წარმოდგენილი; აპლიკანტის საგანმანათლებლო მიზნები და პროგრამის მიზნების თანხვედრაშია - 3 ქულა
გ.ბ) პროგრამაზე სწავლის მოტივაცია და მსჯელობა ნაწილობრივად დასაბუთებულია, მაგრამ არგუმენტების ნაწილი არ არის ნათლად წარმოდგენილი -2 ქულა
გ.გ) პროგრამაზე სწავლის არგუმენტების დიდი ნაწილი გამოგონილი და არალოგიკურია - 1 ქულა
გ.დ) არ აქვს არგუმენტები პროგრამაზე სწავლის მოტივაციასთან დაკავშირებით - 0 ქულა
დ) პროფესიული მიდრეკილებები -2 ქულა:
დ.ა) ნათლად აყალიბებს ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს პროცესებს - 2 ქულა
დ.ბ) ყურმოკვრით იცის მიმდინარე თვის აქტუალური ფაქტის შესახებ - 1 ქულა;
დ.გ) არ ფლობს ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე - 0 ქულა;
ე) ზოგადი განათლება – 4 ქულა
- სწორად ინტერპრეტირებული ერთი ნებისმიერი ისტორიული ფაქტი - 1
- სწორად ინტერპრეტირებული ნებისმიერი ქართული ლიტერატურული ნაწარმოები - 1
- სწორად ინტერპრეტირებული ერთი ფიზიკური მოვლენა - 1
- სწორად ინტერპრეტირებული საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა -1

აპლიკანტთა რეგისრაცია შესაძლებელია მისამართზე: https://vet.emis.ge

# კოლეჯი ახორციელებს შემდეგ პროფესიულ პროგრამებს:

## პროფესიული პროგრამა - ფოტოგრაფია



**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:**
საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ფოტოგრაფიაში

**პროგრამის მიზნები:**
პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს რეალობის დოკუმენტურ ასახვას; ტექნიკურად სრულფასოვანი და კომპოზიციურად დახვეწილი სხვადასხვა ჟანრის ფოტოების გადაღებასა და დამუშავებას.

**სწავლის შედეგები**
- პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
- გააანალიზოს გადასაღები ობიექტის თავისებურებები;
- შეარჩიოს და დააყენოს განათება;
- შეარჩიოს ფოტოკამერა და ობიექტივები;
- შეარჩიოს ფონი და აქსესუარები;
- გადაიღოს დოკუმენტური და მხატვრული ჟანრის ფოტოები;
- გააკეთოს ფოტორედაქტირება.

**პროგრამის მოცულობა:**
პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 47 კრედიტია
პროგრამის მოცულობა არაქართველენოვანი სტუდენტებისათვის - 77 კრედიტი

**კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

ფოტოგრაფიის პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ფოტოგრაფად ონლაინ ან/და ბეჭდვით მედიაში, საინფორმაციო სააგენტოში, სადიზაინო სტუდიაში, გამომცემლობაში, სამოდელო და სარეკლამო სააგენტოებში, სამეცნიერო ცენტრში, თეატრსა და კინოწარმოებაში, საპორტრეტო სტუდიაში, ტელევიზიასა და სხვა მსგავსი ტიპის სახელმწიფო და კერძო დაწესებულებაში.

# პროფესიული პროგრამა - რეპორტიორი



**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:**
უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია  რეპორტიორობაში;

**პროგრამის მიზნები:**
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია  როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს:

- გადაიღოს და დაამონტაჟოს სატელევიზიო ახალი ამბავი ვიდეო სამონტაჟო პროგრამის გამოყენებით;
- ჩაწეროს და დაამონტაჟოს რადიოს ახალი ამბავი აუდიო სამონტაჟო პროგრამის გამოყენებით;
- მოამზადოს წერილობითი სიახლე (ნიუსი) ბეჭდური პერიოდული გამოცემისთვის;
- გადაიღოს და დაამუშაოს ჟანრული ფოტოსურათი გამოსახულების ციფრული დამუშავების პროგრამის გამოყენებით;
- შექმნას ბლოგი, მართოს ვებგვერდი და წეროს ინტერნეტისთვის;
- სწორად გამოყენოს პროფესიული ტერმინოლოგია.

**სწავლის შედეგები:**
რეპორტიორობაში  მინიჭებული კვალიფიკაცით პირს შეუძლია:

- გადაიღოს და დაამუშაოს ჟანრული ფოტოსურათი Adobe Photoshop-ს გამოყენებით;
- გადაიღოს და დაამონტაჟოს სატელევიზიო ახალი ამბავი Adobe Premiere -ს გამოყენებით;
- ჩაწეროს და დაამონტაჟოს რადიოს ახალი ამბავი;
- მოამზადოს წერილობითი სიახლე (ნიუსი) ბეჭდური პერიოდული გამოცემისთვის;
- შექმნას ბლოგი, მართოს ვებგვერდი და წეროს ინტერნეტისთვის;
- სწორად გამოყენოს პროფესიული ტერმინოლოგია;
- გააშუქოს სოციალური თემები საკუთარ ნამუშევრებში;
- გააშუქოს საზოგადოებრივი პრობლემები საკუთარ ნამუშევრებში;
- გამოიყენოს მონაცემთა ვიზუალიზაციის შესაძლებლობები სიახლეებზე (ნიუსებზე) მუშაობისას;
- ისაუბროს საჯარო მეტყველების პრინციპების დაცვით;
- გამოიყენოს სოციალური ქსელები ახალ ამბებში;
- წეროს გრამატიკული და სალიტერატურო ნორმების დაცვით;
- დაიცვას ეთიკისა და სამართლებრივი ნორმები პროფესიულ საქმიანობაში.

**პროგრამის მოცულობა:**
პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 120 კრედიტია
პროგრამის მოცულობა არაქართველენოვანი სტუდენტებისათვის - 150 კრედიტი

**კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

რეპორტიორობის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს შემდეგ პოზიციაზე:
- რადიორეპორტიორი;
- ტელერეპორტიორი;
- ბეჭდური გამოცემის რეპორტიორი;
- ინტერნეტ და ონლაინრეპორტიორი.

# პროფესიული პროგრამა - ტელე-რადიო წამყვანი



**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:**
უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ტელე-რადიოწამყვანობაში;

**პროგრამის მიზნები:**
პროგრამის მიზანია საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი ტელე - რადიო წამყვანის მომზადება,რომელიც შეძლებს:
- რადიოს ეთერის ტექნიკური მართვა და გაძღოლა;
- რადიოს საინფორმაციო გადაცემის მომზადება;
- ტელევიზიით განცხადებების გაკეთება და ამინდის გამოცხადება;
- ინტერვიუს მომზადება, გაძღოლა ტელევიზიისა და რადიოს ეთერით;
- სოციალური ქსელებისა და ინტერნეტის გამოყენება საეთერო მუშაობის დროს;
- მრავალკამერიან ტელესტუდიაში მუშაობა სუფლიორის გამოყენებით.

**სწავლის შედეგები:**
ტელე-რადიო წამყვანობაში მინიჭებული კვალიფიკაციით პირს შეუძლია:
- ტექნიკურად მართოს და გაუძღვეს რადიოს ეთერს (მათ შორის საინფორმაციო, ინტერვიუ, მუსიკალური და სხვ.);
- მოიძიოს ინფორმაცია საინფორმაციო რადიოგადაცემისთვის რესპოდენტებისგან და სააგენტოებიდან;
- მოამზადოს საინფორმაციო რადიოგადაცემა;
- გამოაცხადოს ამინდი ტელევიზიით;
- გააკეთოს განცხადებები ტელევიზიით;
- მოამზადოს და გაუძღვეს ინტერვიუს ტელევიზიისა და რადიოს ეთერით;
- გამოიყენოს სოციალური ქსელები და ინტერნეტი საეთერო მუშაობის დროს;
- იმუშაოს ტექსტზე;
- იმუშაოს მრავალკამერიან ტელესტუდიაში სუფლიორის გამოყენებით;
- დაამუშაოს მონაცემების ონლაინხელსაწყოების გამოყენებით.

**პროგრამის მოცულობა:**
პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 120 კრედიტია
პროგრამის მოცულობა არაქართველენოვანი სტუდენტებისათვის - 150 კრედიტი

**კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

ტელე-რადიოწამყვანობის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს შემდეგ პოზიციებზე:
- რადიოს წამყვანი;
- ტელევიზიის წამყვანი;
- ინტერნეტმაუწყებლობის (ტელე, რადიო) წამყვანი.

პირს ასევე აქვს საშუალება დასაქმდეს თვითდასაქმების ფორმით

# პროფესიული პროგრამა - ვიდეო-საოპერატორო ხელოვნება



**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:**
უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვიდეო-საოპერატორო ხელოვნებაში;

**პროგრამის მიზნები:**
პროგრამის მიზანია აღზარდოს კვალიფიციური ტელე-ოპერატორი, რომელსაც ეცოდინება როგორც ინტერიერსა და სტუდიაში მუშაობა ასევე გარე გადაღება.

**სწავლის შედეგები:**
კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეარჩიოს აუდიოჩამწერი მოწყობილობები;
- ჩაწეროს ხმა სწორად შერჩეული აუდიოჩამწერი მოწყობილობების საშუალებით;
- გაასუფთაოს და დააბალანსოს ხმა პროგრამა Adobe Audition-ის გამოყენებით;
- სწორად შეარჩიოს გადასაღები ტექნიკა და აქსესუარები;
- ააგოს კადრი კომპოზიციის, კადრის სიღრმისა და მასშტაბის გათვალისწინებით;
- გადაიღოს სპეცტექნიკის გამოყენებით;
- დაამუშაოს მასალა ვიდეო-სამონტაჟო პროგრამა Adobe Premiere-ის გამოყენებით;
- გადაიღოს ინტერიერში საჭირო განათების ხელსაწყოების გამოყენებით;
- იმუშაოს რეჟისორთან მრავალკამერიანი სისტემით;
- იმუშაოს გუნდში რეჟისორის, ჟურნალისტის, გამნათებლისა და მემონტაჟის მონაწილეობით.

**პროგრამის მოცულობა:**
პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 120 კრედიტია
პროგრამის მოცულობა არაქართველენოვანი სტუდენტებისათვის - 150 კრედიტი

**კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

ვიდეო-საოპერატორო ხელოვნების პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ტელევიზიაში, სარეკლამო სტუდიებსა და რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციებში აუდიო-ვიზუალურ ოპერატორად,

პირს ასევე აქვს საშუალება დასაქმდეს თვითდასაქმების ფორმით. კარიერული ზრდის თვალსაზრისით, კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია შემდგომ საფეხურებზე აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მიმართულებით.

## პროფესიული პროგრამა - ტელერეჟისურა



**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:**
უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ტელერეჟისურაში;

**პროგრამის მიზანი:**
პროგრამის მიზანია, ისეთი კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელსაც შეეძლება სატელევიზიო სივრცეში მრავალკამერიანი სისტემით გადაცემების ტრანსლირება, პუბლიცისტური ნამუშევრების წარმოება, ტრეილერებისა და ანონსების გადაღება და ასევე სატელევიზიო სერიალზე მუშაობა.

**სწავლის შედეგები:**
კურსდამთავრებულს შეუძლია:
- იმუშაოს საეთეროში მრავალკამერიანი პულტის გამოყენებით;
- დააკომპლექტოს სამუშაო ჯგუფი;
- აწარმოოს სტუდიური და გარე გადაღებები;
- შეარჩიოს თემატიკა;
- შექმნას სარეჟისორო სცენარი;
- განსაზღვროს სამიზნე აუდიტორია;
- შეარჩიოს წამყვანი ან მსახიობი;
- განალაგოს კამერები ოპერატორთან ერთად;
- იზრუნოს მხატვრულ და მუსიკალურ გაფორმებაზე;
- მოამზადოს სატელევიზიო ანონსები და თრეილერები;
- მოამზადოს სატელევიზიო პროექტი;
- იმუშაოს არქივის გამოყენებით.

**პროგრამის მოცულობა:**
პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 120 კრედიტია
პროგრამის მოცულობა არაქართველენოვანი სტუდენტებისათვის - 150 კრედიტი

**კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

ტელერეჟისურის პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს დოკუმენტური მასალის რეჟისორად, ტექნიკურ რეჟისორად, ტელევიზიისა თუ რადიოს ტექნიკურ რეჟისორად;

პირს ასევე აქვს საშუალება დასაქმდეს თვითდასაქმების ფორმით. კარიერული ზრდის თვალსაზრისით, კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია შემდგომ საფეხურებზე აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მიმართულებით.

## ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ - ᲕᲘᲓᲔᲝᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘ



**მისანიჭებელი კვაიფიკაცია:**
უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვიდეომონტაჟში;

**პროგრამის მიზანი:**
პროგრამის მიზანია, ისეთი კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელსაც შეეძლება სხვადსხვა შინაარსისა თუ დინამიკის სატელევიზიო პროდუქტის მონტაჟი.

**სწავლის შედეგები:**
კურსდამთავრებულს შეუძლია:
დაამუშაოს ჟანრული ფოტოსურათი Adobe Photoshop-ის გამოყენებით;
გამოყენოს პროფესიული ტერმინოლოგია;
გადაიღოს ვიდეომასალა სტანდარტული წესების დაცვით;
მიუსადაგოს მუსიკა ან ხმაური და დაიცვას პაუზა კადრის სარეჟისორო გადაწყვეტის მიხედვით;
ჩაწეროს და დაამონტაჟოს ხმა პროგრამა Adobe Audition-ის გამოყენებით;
გააფორმოს მუსიკალურად სატელევიზიო პროდუქტი;
დაამონტაჟოს ვიდეო-სამონტაჟო პროგრამა Adobe Premiere- ის გამოყენებით;
დაამუშაოს მასალა სატელევიზიო გრაფიკის ელემენტებით Adobe after effect -ის საშუალებით;
დაამონტაჟოს ვიდეო-სამონტაჟო პროგრამა Avid-ის გამოყენებით;
გააკეთოს ფერთა კორექცია;
იმუშაოს გუნდში რეჟისორის, ჟურნალისტის, გამნათებლისა და ტელეეთერის დიზაინერის მონაწილეობით.

**პროგრამის მოცულობა:**
პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 120 კრედიტია
პროგრამის მოცულობა არაქართველენოვანი სტუდენტებისათვის - 150 კრედიტი

**კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

ვიდეოომონტაჟის პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს როგორც ტელევიზიაში ასევე რადიოსადგურებსა და სარეკლამო სააგენტოებში მემონტაჟედ.

პირს ასევე აქვს საშუალება დასაქმდეს თვითდასაქმების ფორმით. კარიერული ზრდის თვალსაზრისით, კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია შემდგომ საფეხურებზე აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მიმართულებით.

# პროფესიული პროგრამა - სატელევიზიო კომპიუტერული გრაფიკა



**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:**
უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ტელეეთერის დიზაინში;

**პროგრამის მიზანი:**
პროგრამის მიზანია, ისეთი კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელსაც შეეძლება გრაფიკულად გააფორმოს სხვადასხვა შინაარსისა და ჟანრის ვიდეო მასალა.

**სწავლის შედეგები:**
კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შექმნას ობიექტის ესკიზი განათების, პროპორციების, ხასიათისა და პერსპექტივის დაცვით;
- შექმნას ვიდეორიგის კადრირება (სთორიბორდი);
- იმუშაოს ვექტორულ გრაფიკაში პროგრამა Adobe Illustrator-ის გამოყენებით;
- შეარჩიოს შრიფტი გრაფიკული მასალისთვის;
- დააბალანსოს და აგრეთვე დააკორექტიროს გამოსახულების ფერი;
- შექმნას 3D ფენები და სამგანზომილებიანი გრაფიკა პროგრამა After Effect-ში;
- მოახდინოს Cinema 4D პროექტების ინტეგრაცია პროგრამა After Effect-ში;
- გააერთიანოს რამდენიმე გამოსახულება ერთ კადრში პროგრამა After Effect-ში;
- ჩაწეროს და დაამონტაჟოს ხმა პროგრამა Adobe Audition-ის გამოყენებით;
- დაამონტაჟოს ვიდეო-სამონტაჟო პროგრამა Adobe Premiere-ის გამოყენებით;

**პროგრამის მოცულობა:**
პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 120 კრედიტია
პროგრამის მოცულობა არაქართველენოვანი სტუდენტებისათვის - 150 კრედიტი

**კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
ტელეეთერის დიზაინის პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შესაძლოა დასაქმდეს კომპიუტერული თამაშების დიზაინერად, გრაფიკულ დიზაინერად, მულტიმედიის დიზაინერად, გამომცემლობის დიზაინერად; პირს ასევე აქვს საშუალება დასაქმდეს თვითდასაქმების ფორმით. კარიერული ზრდის თვალსაზრისით, კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია შემდგომ საფეხურებზე აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მიმართულებით.

## პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი



1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული )სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
   ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
   ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაშიპროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.

## კოლეჯში სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ!

# კოლეჯის პარტნიორები

- სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი
- სსიპ ხელოვნების სასახლე
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“
- სსიპ ქალაქ თბილისის N21 საჯარო სკოლა
- სსიპ ქალაქ თბილისის N140 საჯარო სკოლა
- სსიპ ქალაქ თბილისის N63 საჯარო სკოლა
- სსიპ ქალაქ თბილისის N24 საჯარო სკოლა
- სსიპ კოლეჯი „აისი“
- სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“
- სსიპ კოლეჯი „განთიადი“
- სსიპ კოლეჯი „იბერია“
- სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“
- ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“
- სსიპ კოლეჯი „ფაზისი“
- სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“
- სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი
- სსიპ კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“
- სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯი
- შპს რადიო ჰოლდინგი "ფორტუნა”
- ააიპ "საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაცია”
- შპს "კიკალა სტუდიო”
- შპს "რუსთავი 2”
- შპს "ემ-მედიატორი”
- შპს "ჯორჯიან ივენტს”
- შპს "გარდენია”
- საქართველოს ფერმერთა ასოციაცია
- შპს "ფორმულა პროესკო პროდაქშენი”
- ა(ა)იპ ევროკავშირი  საქართველო ბიზნეს საბჭო
- შპს ფრიდონ თოდუას სახელობის კლინიკური მედიცინის სამეცნიერი-კვლევითი ინსტიტუტი
- ი/მ ივანე ჩხაიძე. ქორეოგრაფიული ანსამბლი "ლაპრები"
- ლოძის კინოს, თეატრისა და ტელევიზიის ეროვნული სკოლა
- კრაკოვის ხელოვნებისა და მოდის დიზაინის სკოლა
- ვარშავის კინო სკოლა
- კიევის საერთაშორისო უნივერსიტეტი
- ბელორუსიის ხელოვნების ეროვნული აკადემია
- ჯერმანთაუნის სკოლის ნატიფი ხელოვნების დეპარტამენტი